სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 4 (322) აპრილი, 2019 წელი



14 აპრილს საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობამ, უმაღლესი სასწავლებლების ათასობით მონაწილესთან ერთად, ქალაქში დაგეგმილ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა მიიღო. თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებმა ქართული ენის დღე განსაკუთრებული პატივისცემით აღნიშნეს.

გვ 6

9 აპრილის მოვლენებიდან 30 წელი გავიდა. თსსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სტუდენტები ეწვივნენ მედიცინის ისტორიის მუზეუმს, სადაც 9 აპრილისადმი მიძღვნილი შეხვედრა მოეწყო. შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

გვ 8

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ქართული ფოლკლორის“ წარმატებები ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში კარგადაა ცნობილი. ამჯერად ანსამბლმა წარმატებული კონცერტები ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართა.

გვ 5

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოწვევით, პროექტის – „ამერიკული მუსიკა საზღვარგარეთ“ – ფარგლებში საქართველოს ესტუმრა ამერიკელი მუსიკოსი და კომპოზიტორი, ტონი მემელი, რომელმაც პირველი კონცერტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამართა.

გვ 8

კონფერენცია – თანამედროვე სტომატოლოგიის გამოწვევები

20-24 მარტს ქ. ბარსელონაში (ესპანეთი) სტომატოლოგიური კორპორაცია – Ultradent-ის მიერ ორგანიზებული კონფერენცია – „თანამედროვე სტომატოლოგიის გამოწვევები“ გაიმართა.

კონფერენციას ესწრებოდა თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე. კონფერენციის ფარგლებში საინტერესო ლექცია და მასტერ კლასები ჩატარდა ესთეტიკურ სტომატოლოგიასა და ენდოდონტიაში. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მასტერ კლასის ფარგლებში Ultradent-ის მიერ ორგანიზებული იყო სადემონსტრაციო პრაქტიკული კურსი (Hands-on), სადაც ნებისმიერ მონაწილეს შესაძლებლობა ჰქონდა აეთვისებინა Ultradent-ის მიერ მოწოდებული ახალი მასალებისა და საშუალებების თავისებურებები.

პროფესორ მარინა მამალაძეს საშუალება მიეცა წარედგინა საქართველოსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის მაგალითზე კბილთა რესტავრაციისა და ენდოდონტიის პროცესში კომპანია Ultradent-ის მიერ მოწოდებული საშუალებების გამოყენების თითქმის 10 წლიანი გამოცდილება.

კონფერენცია მიმდინარეობდა ინტერაქტიულ რეჟიმში, რაც მონაწილეებს ანიჭებდა თავიანთი მოსაზრებების, ზოგჯერ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმის თავისუფლებასაც კი.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „ემსახურო სტომატოლოგიას“

22-23 მარტს ქ. პოლტავაში (უკრაინა), სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეჯის ICD-ის ევროპული სექციის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაერთიანების (District 14) საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელის, პროფესორ სერგეი რადლინსკის ორგანიზებით სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „ემსახურო სტომატოლოგიას“ – ჩატარდა.

კონფერენციას ესწრებოდნენ და მოხსენებით წარსდგნენ: თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ლია სანოძე, თემით – „ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა“ და ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნათია ნიჟარაძე თემით – „პრეპარატ როდოპესის ეფექტურობა კლინიკურ სტომატოლოგიაში“.

მნიშვნელოვანი და სასიამოვნო იყო ფაქტი, რომ კონფერენციას ესწრებოდა ICD 14 დივიზიონის ხელმძღვანელი, სლოვენიის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი და დეკანი ტომ იუკიჩი და ICD უკრაინის წარმომადგენლობა. პროფესორმა იუკიჩმა საზოგადოებას ICD-ის ისტორია გააცნო და ქართული და უკრაინული დელეგაციების აქტივობებზე ისაუბრა.

აღნიშნულმა თემებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, კონფერენცია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა და საინტერესო დისკუსიით დასრულდა.

პროფესორ რონალდ ბლეისის ვიზიტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს უტრეხტის უნივერსიტეტის (ნიდერლანდების სამეფო) სამედიცინო ცენტრის ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი რონალდ ბლეისი, სტუმრობდა.

ვიზიტის ფარგლებში, პროფესორმა ბლეისმა, ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტში მედიცინის, სტომატოლოგიის და მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტების სტუდენტებისთვის ლექციათა კურსი წაიკითხა.

ვიზიტის პერიოდში დაიგეგმა ერთობლივ სამეცნიერო პროექტებზე მუშაობა და თსსუ-ის სტუდენტთათვის უტრეხტის

უნივერსიტეტში პრაქტიკული სტაჟირება (ანატომიური დისექციის კურსი).

დასაქმება ამერიკის შეერთებულ შტატებში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურსა და ორგანიზაცია – „Southwestern Advantages“-ის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა, სადაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს გააცნეს ინფორმაცია აშშ-ში საზაფხულო დასაქმების პროგრამის შესახებ.

არსებული პროგრამის ფარგლებში, თსსუ-ის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, საზაფხულო არდადეგების პერიოდში, სხვადასხვა სფეროში დასაქმების მიზნით, გაემგზავრნონ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

შეხვედრას ესწრებოდნენ თსსუ-ის, როგორც ქართველი, ასევე, საერთაშორისო სტუდენტები.

საერთაშორისო სამედიცინო-ფარმაცევტულ კონგრესზე

მეხუთე წელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები სტუმრობენ და აქტიურად მონაწილეობენ ბუკოვინის (უკრაინა) სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამედიცინო-ფარმაცევტული კონგრესის – BIMCO-ს მუშაობაში.

BIMCO-ს კონგრესს ამჯერად ესწრებოდნენ: თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, დავით დელიბაშვილი, სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი, ლუიზა გაბუნია და მოწვეული პედაგოგი – ლონდა რუხაძე.

თსსუ-ის დელეგაციამ წარადგინა მოხსენება – „კიბოს ეროვნული სკრინინგ-პროგრამები საქართველოში“; მოხსენებამ ჟიურის მაღალი შეფასება და მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ვიზიტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს ბუკოვინის უნივერსიტეტის კლინიკური სიმულაციების ცენტრი, გაეცვნენ უნივერსიტეტში არსებულ სიახლეებს, მიიღეს მონაწილეობა კონგრესის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ტრენინგსა და ვორქშოფში.

დროის ეფექტიანად მართვის შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ინიციატივით, მართვის აკადემიის თავმჯდომარემ, ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრმა, ქეთევან ტყავაძემ, წაიკითხა საჯარო ლექცია დროის ეფექტიანად მართვის შესახებ.

ლექციის მთავარ კითხვებს წარმოადგენდა: თუ როგორ მოვასწროთ მეტი 24 საათში, როდის ვართ წარმატებული და როგორ ვაღწევთ დასახულ მიზანს? როგორ შეიძლება დროის ეფექტიანად სტრუქტურირება და ორგანიზება და ა.შ.

ლექცია ინტერაქტიული ხასიათის იყო

და დამსწრე აუდიტორიის დიდი ინტერესი დაიმსახურა.

საერთაშორისო კონგრესზე საფრანგეთში

4-7 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი დავით მეტრეველი მიწვევით იმყოფებოდა ოსტეოპოროზის, ოსტეოართრიტის და ძვალ-კუნთოვანი ავადმყოფობების მსოფლიო კონგრესზე, რომელიც ჩატარდა პარიზში (საფრანგეთი).

ღონისძიება გამოირჩეოდა განხილულ საკითხთა მრავალფეროვნებით, აქტუალობით და მომხსენებელთა მაღალი პროფესიონალიზმით. ბატონი დავითის განცხადებით, ღონისძიებაზე დასწრება მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ სახელმძღვანელო დოკუმენტების დონეზე აღიარებული ინფორმაციის განხილვებში მონაწილეობის, არამედ ცალკეული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისა და ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრობლემური და სადაო საკითხების გაცნობის მიზნითაც.

ჯერი ო'სალივანის ვიზიტი

11 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია ჯერი ო'სალივანი, ირლანდიის ერასმუს+-ის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი, რომელიც მოწვეული იყო საქართველოს ერასმუს+-ის ეროვნული ოფისის მიერ ირლანდიის და ქართული უნივერსიტეტების თანამშრომლობის დამყარების მიზნით გამართულ საკონტაქტო სემინარზე.

შეხვედრაზე ნინო კანდელაკმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერასმუს+-ის ინსტიტუციურმა კოორდინატორმა, გააკეთა პრეზენტაცია თსსუ-ის საერთაშორისო აქტივობების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ: თსსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ნინო აფციაური, მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ინგა კახნიაშვილი, კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის დირექტორი, პროფესორი ირმა მანჯავიძე.

დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის საკითხები.

სტუდენტების წარმატება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მეორე კურსის სტუდენტები – ბესიკ დავითაშვილი, დავით კვარაცხელია და ცოტნე გვასალია, წარმატებით ასპარეზობენ ინტელექტუალური თამაშის – ნიგნების თაროს – სტუდენტურ სეზონში.

ცოტნე გვასალიამ ბლიც-რაუნდში, 1 წუთში სწორად უპასუხა 24 კითხვას.

ვიზიტი ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტსა და ინსბრუკის უნივერსიტეტში (ავსტრია)

26 მარტიდან 30 მარტის ჩათვლით, თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და რექტორის აპარატის უფროსი, ირინა კაპეტივაძე, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქალაქ ინსბრუკში (ავსტრია).

ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა ინსბრუკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ვოლფგანგ ფლაიშჰაკერთან, ინსბრუკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორთან საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო მიმართულების საკითხებში, პროფესორ ქრისტინე ბანდლოვთან და უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ქალბატონ საბინა ედლინგერთან. შეხვედრის მიზანი იყო ორ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის მემორანდუმის საკითხების განხილვა და შემდეგი სამუშაო შეხვედრის დროს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. საუბარი შეეხო სტუდენტების საზაფხულო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, ერაზმუს+-ის პროექტში ჩართულობას, აგრეთვე, ერთობლივი სამეცნიერო სამუშაოების წარმოებას, ტელემედიცინის სამსახურის გამართვას, თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმების სტაჟირებას ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკებში.

ვიზიტის ფარგლებში, შედგა სამუშაო შეხვედრა ინსბრუკის უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ტილმან მერკთან და საერთაშორისო სერვისების ხელმძღვანელთან, ქალბატონ ბარბარა ტასსერთან. დაიგეგმა მემორანდუმის გაფორმება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ინსბრუკის უნივერსიტეტს შორის.

საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა ინსბრუკის უნივერსიტეტის ანალიტიკური ქიმიისა და რადიოქიმიის ინსტიტუტის ხელმძღვანელ, პროფესორ გიუნტერ ბონთან და ფარმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან. დაიგეგმა გაცვლითი პროექტები და ერთობლივი სამეცნიერო თანამშრომლობის პროგრამები თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის.

ალსანიშნავია, რომ შეხვედრებში მონაწილეობდა თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის სხივური თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრის უფროსი ექიმი, ქალბატონი ირმა კვიცარიძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ინსბრუკის უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის განვითარებაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტმა ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტსა და ინსბრუკის უნივერსიტეტში წარმატებით ჩაიარა.

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის კონფერენციაზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) 2019 წლის საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც 7-10 აპრილს გაიმართა სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში. კონფერენციაში მონაწილეობდნენ თსსუ-ის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე, ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე, სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გაიანე სიმონია და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის თანახელმძღვანელი, ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის წარმომადგენელი არჩილ უნდილაშვილი.

პროფესორებმა ზურაბ ორჯონიკიძემ და ხათუნა თოდაძემ, საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების განვითარების პროცესში შეტანილი წვლილისთვის, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტს, პროფესორ დევიდ გორდონს, გადასცეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მისთვის მინიჭებული თსსუ-ის საპატიო დოქტორის წოდების დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ალსანიშნავია, რომ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციაა, რომელიც აქტიურად ზრუნავს სამედიცინო განათლების ხარისხის ამაღლებაზე მსოფლიოს მასშტაბით, წარმართავს განათლების სტანდარტების შემუშავებისა და განახლების უწყვეტ პროცესს. მისი სააგენტოები ახორციელებენ სამედიცინო პროგრამების შესწავლასა და მათთვის საერთაშორისო აკრედიტაციის მინიჭებას. სასიხარულოა, რომ 2018 წელს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა აღიარება მოიპოვა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მხრიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ცენტრის მიერ აკრედიტებულ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამებს საერთაშორისო აღიარება ექნებათ.

კონფერენციაზე მრავალი საჭირბოროტო თემა იქნა განხილული, როგორც დიპლომამდელი, ისე სარეზიდენტო და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. კონფერენციაზე პროფესორმა გაიანე სიმონიამ წარმოადგინა პრეზენტაცია „საქართველოში საბაზისო სამედიცინო განათლების სტანდარტების განვითარება“.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის კონფერენცია

11-12 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე და ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ საფრანგეთში, ქ. პარიზში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ყოველწლიური კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციის მთავარი თემა იყო – „ინოვაციების ხელშეწყობა ევროპის უნივერსიტეტებში“. პლენარული მოხსენებები ძირითადად მიეძღვნა უნივერსიტეტების პასუხისმგებლობას ტექნიკური, სამედიცინო, საგანმანათლებლო ინოვაციების ხელშეწყობისა და განვითარების საქმეში.

კონფერენცია ჩატარდა სორბონის უნივერსიტეტში. კონფერენციაზე საპროგრამო მოხსენებით წარსდგა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი როლფ ტარაჩი. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ: სორბონის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, ჟან შამბაზი, ევროკომისიის გენერალური დირექტორი კვლევისა და ინოვაციების დარგში, ჟან-ერიკ პაქვეტი.

როგორც ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სრულუფლებიანმა წევრმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო გენერალურ ანსამბლეაში, სადაც კენჭისყრის გზით აირჩიეს ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ახალი პრეზიდენტი, პროფესორი მაიკლ მარფი და საბჭოს ექვსი ახალი წევრი.

კონფერენციას ესწრებოდა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, გიორგი ვაშაკიძე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორმა, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელმა, არჩილ უნდილაშვილმა.

სტუდენტური კონფერენცია

კონფერენცია, რომელიც 5 აპრილს ჩატარდა, ერთი წლის წინ დაიგეგმა, მას ხელმძღვანელობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტები, იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი და ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება.

კონფერენციაზე წარსადგენ თემებზე სტუდენტებთან მუშაობდნენ ფარმაციის ფაკულტეტის სასწავლო დეპარტამენტების აკადემიური პერსონალი: პროფესორები თამაზ მურთაზაშვილი, ასოცირებული პროფესორი ლუიზა გურაშვილი, ასისტენტ-პროფესორი ნინო იმნაძე, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნანა გორგასლიძე, მეცნიერ-თანამშრომლები: ბელა კიკალიშვილი, ქეთევან შალაშვილი, ნინო ვაჩნაძე, მანანა ორჯონიკიძე.

კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს შეეხებოდა; მომავალმა ფარმაცევტებმა საინტერესოდ წარმოადგინეს შემდეგი საკითხები: „ფარმაკოზედამხედველობა – წამლის გვერდითი ეფექტების მონიტორინგის ეფექტური იარაღი“, „წამლის ფარმაკოკინეტიკის თავისებურებები ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში“, „ნიკოტინისა და ალკოჰოლის გავლენა წამლის ფარმაკოკინეტიკაზე“ და მრავალი სხვა.

კონფერენცია – „ჯანმრთელობა და წამალი“ სტუდენტთა აქტიურობით გამოირჩეოდა. ღონისძიების მხარდამჭერი იყო თსსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური და ფარმაცევტული კომპანია – „PSP“, რომლის წარმომადგენლებმა საჩუქრები გადასცეს სტუდენტებს, მონაწილეებს დაურიგდათ სერტიფიკატები. კონფერენციის შედეგები შეაჯამა ფარმაციის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დალი ბერაშვილმა და აღნიშნა, რომ ასეთი კონფერენცია ყოველწლიურად გაიმართება და ტრადიციულ სახეს მიიღებს.

სუფთა და ჯანსაღი გარემოსთვის

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელობით, 7 აპრილს, ჯანმრთელობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დიღმის მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო დასუფთავების აქცია, რომელშიც მონაწილეობდნენ თსსუ-ის სტუდენტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის თანამშრომლები. თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ირაკლი კოხრეიძემ, მხარდაჭერა გამოუცხადა აღნიშნულ აქციას და პროექტში მონაწილეობის მისაღებად გამოიწვია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი – სეუ.

პროექტი აპრილის ბოლომდე გაგრძელდება. ერთად შევხვდეთ დედამიწის დღეს სუფთა და ჯანსაღ გარემოში.

„აუტიზმი – პაზლი, რომელიც ერთად უნდა ავაწყოთ“

2 აპრილს, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, ჩატარდა საინფორმაციო კამპანია დევიზით: „აუტიზმი – პაზლი, რომელიც ერთად უნდა ავაწყოთ“. კამპანიის მონაწილეებმა დაარიგეს ბროშურები.

საინტერესო შეხვედრა გაიმართა თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებაში. აუტიზმის – „მთავარანგელოზ გაბრიელისა და პეტრე მოციქულის სახელობის ფონდის“ ხელმძღვანელობით თსსუ-ის სტუდენტები შეხვდნენ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს და მათ მშობლებს. სტუდენტები გაეცნენ ფონდის საქმიანობას, ითქვა, რომ ხშირად აუტიზმი და აუტისტური სპექტრის აშლილობები ჩაკეტილობასა და სოციალური უნარების არქონასთან არის დაკავშირებული, რომლის მთავარი მახასიათებელი კომუნიკაციური სირთულეებია და მისი მოგვარება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ამ სპექტრის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრირებაა. შეხვედრაზე ისაუბრეს ასეთ პირთა უფლებების შესახებაც.

სტუდენტები გაეცნენ ფონდის საქმიანობას, გამოითქვა სამომავლო შეხვედრების და თანამშრომლობის სურვილი.

„ორშაბათი მძიმე დღეა“

სწავლასთან ერთად, სახალისო ვიქტორინები, ლაშქრობები, სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები სტუდენტური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

დასვენების დღეების შემდეგ, ორშაბათის დილის დაწყება ადამიანების უმრავლესობას უჭირს. თსსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ახალი პროექტი დაგეგმა – ორშაბათის ვიქტორინები, მასში მონაწილენი მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემით პრიზებით დასაჩუქრდებიან.

პროექტის ორგანიზატორები აღნიშნავენ, მიზანი მარტივია: გავაფერადოთ ორშაბათი, რადგანაც ახალი კვირა ურთიერთობით და სიურპრიზებით იწყება.

სპორტული ფესტივალის დღიური

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდები მხოლოდ სწავლით როდი გამოირჩევიან – ისინი არაერთი საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიების ინიციატორებად და განმახორციელებლად გვევლინებიან. თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სტარტი აიღო სპორტულმა ფესტივალმა – „LUDUS“-მა, რომელიც სპორტის მრავალ სახეობას მოიცავს და მასში ყველა ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობენ.

2 აპრილს, ფესტივალის ეგიდით, ჩატარდა შეჯიბრი ორდროშობანაში. ხალისიან პაექრობაში ყველა ფაკულტეტის სტუდენტი მონაწილეობდა. გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები და მოთამაშეები. საპრიზო ადგილებიც შემდეგნაირად განაწილდა:

პირველ ადგილზე გავიდა გუნდი – „მჯუცდუ“ (გიორგი ამაღლობელი, გიგი გზობავა, გუკა პაპაშვილი, ნინი ძინძიბაძე);მეორე ადგილზე – გუნდი „რეაბილიტაცია“ (თედო ჭელიძე, საბა გელაშვილი, საბა ფესვიანიძე, მერი კურტანიძე); მესამეზე – „ფარმაცია მარტო აფთიაქი არ არის“ (თორნიკე ჭელიძე, ნიკოლოზ ოგბაიძე, სანდრო გოჩიტაშვილი, ანი თვალაბეიშვილი).

ფესტივალის ფარგლებში, სათამაშო ზონა – GAME WORLD-ის ხელშეწყობით, ჩატარდა შეჯიბრი FIFA-19-ში, რომელშიც მონაწილეობდა თსსუ-ის ყველა ფაკულტეტის 32 სტუდენტი. საპრიზო ადგილები დაიკავეს ბაკო გვენცაძემ, ირაკლი ქოჩიაშვილმა, დავით ხოზრევანიძემ.

14 აპრილს, ჩატარდა ტურნირი ბილიარდში. პირველი, მეორე და მესამე ადგილები სტომატოლოგიის და მედიცინის ფაკულტეტების სტუდენტებმა: ალექსანდრე გეორქიანმა, გიორგი ამაღლობელმა, გიორგი რაქვიაშვილმა მოიპოვეს.

კინოკლუბმა უმასპინძლა

თსსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ და კინოკლუბმა – „MEDI CINEMA“-მ „ცისფერ დარბაზში“ მორიგ კინოჩვენებას უმასპინძლა. მაყურებელმა იხილა ლეგენდარული რეჟისორის, ჯიმ ჯარმუშის 2013 წლის ფილმი – „მხოლოდ საყვარლები გადარჩებიან“.

15 აპრილიდან, ყოველ ორშაბათს, სტუდენტებს „სამეფო კარის თამაშების“ ახალი სეზონის სერიების ხილვის საშუალება ეძლევათ. ახალგაზრდები მოხარულნი არიან, რომ სწავლის შემდეგ აქტიური დასვენების საშუალება ეძლევათ, რასაც კომფორტული გარემოც უწყობს ხელს. კინოკლუბი მომავალშიც გაახარებს მაყურებელს საინტერესო ფილმებით.

გვერდი მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის მე-2 სემესტრის სტუდენტმა ლიკა დემურიშვილმა

„ქართული ფოლკლორის“ ტრიუმფი ამერიკაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ქართული ფოლკლორის“ (ხელმძღვანელი — ბადრი მაჭავარიანი, მთავარი ქორეოგრაფი — დავით უგრეხელიძე, ქორეოგრაფი ინეზა კუპრეიშვილი, ლოტბარი – დავით რატიანი (უმცროსი), ხალხურ საკრავთა ჯგუფის ხელმძღვანელი – დავით რატიანი) წარმატებები ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში კარგადაა ცნობილი არა მხოლოდ ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის. ევროპაში ანსამბლმა ბევრჯერ ასახელა სამშობლო და საყვარელი უნივერსიტეტი, თუმცა ქვეყანა, სადაც, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, წლების მანძილზე ვერ მოხერხდა გამგზავრება და სადაც წარმატებულ კონცერტებზეც ოცნებობდა ანსამბლი, ამერიკის შეერთებული შტატები გახლდათ. და აი, სულ ახლახან, ამ ოცნების ახდენა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, შესაძლებელი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინ „ქართული ფოლკლორის“ კონცერტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაესწრნენ ემორის უნივერსიტეტის პროფესორი, თსსუ-ის საპატიო დოქტორი, თბილისის და საქართველოს საპატიო მოქალაქე, კენეტ ვოლკერი და თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი არჩილ უნდილაშვილი. სწორედ მათი მხრიდან, ჯერ კიდევ მაშინ, გამოითქვა სურვილი საგასტროლოდ ანსამბლის ამერიკაში გასამგზავრებლად. **სიმბოლურია, რომ პროფესორ კენ ვოლკერის გარდაცვალებიდან ერთი წელი, თსსუ-ის ხელმძღვანელობის დამსახურებით, ანსამბლმა ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტში, წარმატებული კონცერტებით აღნიშნა.**

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გავესაუბრეთ თსსუ-ის კულტურის ცენტრის დირექტორს და ცენტრთან არსებული სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლის ხელმძღვანელს, **ბადრი მაჭავარიანს** და ხალხურ საკრავთა ჯგუფის ხელმძღვანელს – **დავით რატიანს**.

როგორც მათ აღნიშნეს, იმდენად დიდი იყო სურვილი და მოტივაცია, რომ წინასაგასტროლო სამზადისი, რომელსაც, თავისი სირთულეები ახლდა, უმნიშვნელო და ადვილად გადასალახი აღმოჩნდა – მათ ხომ მსოფლიოს ზეგანვითარებული ქვეყანა უნდა გაეოცებინათ ქართული კულტურით, რასაც წარმატებით გაართვეს თავი...

ბადრი მაჭავარიანი:

ემორის უნივერსიტეტის მარგარეტ ტეილორის სახელობის დარბაზი, რომელშიც ხშირად იმართება კონცერტები და შემოქმედებითი ღონისძიებები, მაყურებელს ვერ იტევდა. საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ ემორის უნივერსიტეტის დეკანი, პროფესორი ვიკას სუკატმე, აღმასრულებელი დეკანი, პროფესორი ბილ ილი, ემერიტუს დეკანი, პროფესორი კლაუდია ადკინსონი, ასისტენტ-დეკანი გორდონ ჩარჩვორდი და სხვები. კონცერტის ფინალში ჟღერდა ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს ჰიმნი, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. დასასრულს, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასისტენტ-დეკანს, პროფესორ გორდონ ჩარჩვორდს, თსსუ-სთან ნაყოფიერი თანამშრომლობისა და ანსამბლის აშშ-ში მასპინძლობის აღსანიშნავად, სიმბოლური საჩუქარი გადავეცით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ატლანტაში გამართული დასკვნითი კონცერტის შესახებ, რომელიც ატლანტის ისტორიულ საზოგადოებრივ კლუბში (Capital City Club), ამერიკულ ცათამბჯენებს შორის არქიტექტურული სტილით და დიზაინით გამორჩეულ შენობაში, კლუბის მთავარ, ყველაზე დიდ დარბაზში გაიმართა, სადაც მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ჯორჯიის შტატის სახელგანთქმული მედიკოსები, პროფესორები, ატლანტის რჩეული საზოგადოება. კონცერტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეკრებილ საზოგადოებაზე, რომელიც მისი დასრულების შემდეგ, თითქმის ორი საათის განმავლობაში, არ ტოვებდა დარბაზს და აღფრთოვანებას ვერ ფარავდა.

ანსამბლის ყველა წევრი დაჯილდოვდა ემორის უნივერსიტეტის სპეციალური სერტიფიკატით, რაც სასიხარულო იყო ყველასთვის.

ამაღელვებელი იყო კონცერტის შემდეგ შეხვედრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან, რომლებიც ემოციებს ვერ მალავდნენ.

წარმატებულ კონცერტებს მოჰყვა სარეკლამო გადაღებები ატლანტის ბუნებაში, ქალაქის მთაზე, ასევე, ქალაქის ცენტრში მდებარე ისტორიული სახლის სახურავზე, რომლითაც, უნიკალური დიზაინის და ინტერიერის წყალობით, არაერთხელ დაინტერესებულან ჰოლივუდის რეჟისორები, რაც მათ მიერ გადაღებული ფილმებითაც დასტურდება. აღნიშნულ გადაღებებში დიდი წვლილი შეიტანეს თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელმა, სპარტაკ მერკვილაძემ და ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა რეჟისორმა ნიკა ქევხიშვილმა.

ამ პერიოდის განმავლობაში ანსამბლის ყველა წევრი უზრუნველყოფილი იყო საუკეთესო პირობებით. ამავე დროს, სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ ემორის უნივერსიტეტში დასწრებოდნენ ლექცია-სემინარებს, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თითოეულ მათგანზე.

ჩვენი ანსამბლის გამგზავრების ორგანიზებასა და ანსამბლის წარმატებულ გამოსვლებში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორს, ბატონ **არჩილ უნდილაშვილს** და მისი ოჯახის წევრებს, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს და წუთითაც არ ტოვებდნენ ანსამბლის წევრებს უყურადღებოდ. მათი ორგანიზებით მოხერხდა კონცერტის წინ ქართული გარემოს და სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნა, ბატონი არჩილის მოწადინებით და ძალისხმევით დაიბეჭდა და დარიგდა სპეციალური ბუკლეტები და მაყურებელს შესაძლებლობა მიეცა, კონცერტის პროგრამასა და ანსამბლის მოკლე ისტორიასთან ერთად, საქართველოს რუკაც ენახა, სადაც აფხაზეთი და ოსეთი მონიშნული იყო როგორც რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. აქვე აღვნიშნავ თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის მოადგილის, **ნინი ზარდიაშვილის,** უდიდესი თანადგომის შესახებ, როგორც ვიზების მიღებისას, ისე ამერიკაშიც.

დაბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ხელოვნებაში ჩემი 35 წლიანი საქმიანობის განმავლობაში, ეს გახლდათ ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი საგასტროლო ტურნე ანსამბლისთვის, რისთვისაც, ცენტრის და ანსამბლის წევრთა სახელით, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას**, კანცლერს, პროფესორ **ზურაბ ორჯონიკიძეს**, წამომადგენლობით საბჭოს, სტუდენტურ თვითმმართველობას თანადგომისთვის, რამაც შესაძლებელი გახადა ანსამბლის გამგზავრება და წარმატებული გამოსვლები ამერიკის შეერთებულ შტატებში...

დავით რატიანი:

სიტყვები არ მყოფნის, მართლაც იმდენად მნიშვნელოვანი, საინტერესო და წარმატებული საგასტროლო ტურნე იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. საკონცერტო პროგრამა ისე იყო შედგენილი და რეპერტუარიც იმგვარი გახლდათ, რომ მოიცავდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს, მათ შორის, ბუნებრივია, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს... და ატლანტის ცენტრში ჟღერდა ქართული მელოდიები ოვაციების თანხლებით, რაც კონცერტის ყველა მონაწილის დამსახურებაა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თსსუ-ის სტუდენტია“.

ანსამბლთან ერთად ატლანტაში გაემგზავრა თსსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებული თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორი, ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ნათია გუჯაბიძე**, რომელმაც სიამოვნებით გაგვიზიარა შთაბეჭდილებები:

„მე მართლაც აღფრთოვანებული ვარ, უპირველესად, იმ ორგანიზებულობით და წესრიგით, რაც ანსამბლის ხელმძღვანელობის, პირადად ბატონი ბადრის დამსახურებაა და, რაღა თქმა უნდა, წარმატებული კონცერტით, რომლითაც არა მხოლოდ ემორის უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტები, არამედ ქალაქის ელიტური საზოგადოებაც აღფრთოვანდა. ჩემთვის, როგორც ამერიკული პროგრამის პედაგოგისთვის, საინტერესო იყო ისიც, რომ ემორის უნივერსიტეტში შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი სასწავლო გარემოს, რომელიც ნამდვილად შთამბეჭდავი იყო. ერთი სიტყვით, მრავალმხრივ საინტერესო და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ამერიკული შთაბეჭდილებები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და კიდევ ერთხელ და მრავალჯერ სიამოვნებით ვიტყვი: **ეს ჩემი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტია**“.

ასეთივე მადლიერებით და ამაღლებული განწყობით დაუბრუნდა სამშობლოს ანსამბლის უკლებლივ ყველა წევრი, ვინც დიდი შრომა გასწია და მაქსიმალური გაიღო წარმატებისთვის და, მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არაერთხელ მოხიბლა მაყურებელი, ამერიკაში წარმატებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ანსამბლის ხელმძღვანელობის თქმით, ეს დიდი სტიმულიცაა მომავალი გამარჯვებებისთვის, რითაც, დარწმუნებულნი ვართ, კვლავ არაერთხელ გაახარებენ არა მარტო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გულშემატკივრებს, არამედ სრულიად საქართველოს.

ნატო ბოლქვაძე

საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციაში

❖❖❖

საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (GMSA) ეგიდით, საქართველოს მასშტაბით პირველი ეროვნული შეჯიბრი – InSimu Virtual Patient – ჩატარდა. თითოეულ მონაწილეს საშუალება ჰქონდა, ჰყოლოდა ვირტუალური პაციენტი და დაესვა დიაგნოზი, რაც შეიძლება, მოკლე დროში, იაფად და არაინვაზიური ტესტების საშუალებით.

შეჯიბრში ჩართული იყო თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის სამედიცინო აკადემია, ევროპის უნივერსიტეტი, დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტი და ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტი. კონკურსი მოიცავდა ორ ეტაპს; პირველ ეტაპზე თითოეული უნივერსიტეტიდან აირჩა პირველი 10 სტუდენტი, ხოლო მეორე ეტაპზე – უნივერსიტეტთა შორის – პირველი სამი სტუდენტი, რომელთაც გადაეცათ სერტიფიკატები და დაჯილდოვდნენ პრიზებით.

❖❖❖

დაიგეგმა მასტერკლასები ნეიროქირურგიასა და კარდიოქირურგიაში. სტუდენტებს საშუალება ექნებათ, სამი თვის განმავლობაში იმუშაონ ისეთ პროფესიონალებთან, როგორებიც არიან, პროფესორები - ედიშერ მაღალაშვილი და ლევან ქარაზანაშვილი. ორი ეტაპის გავლის შედეგად, თითოეული მასტერკლასისთვის, ათეულობით სტუდენტისაგან შეირჩა 15-15 კაცი. მათ, პროექტის ფარგლებში, შეეძლებათ შესაბამის დარგში მიიღონ, როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული ცოდნა. სტუდენტები მოამზადებენ თემებს და წარადგენენ პროექტის დასასრულს გამართულ კონფერენციაზე.

❖❖❖

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ტარდება ლექციათა ციკლი, რომლის ფარგლებშიც მოწვეული ექიმები საუბრობენ მათ დარგში არსებულ მთავარ თემებზე. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გაეცნონ კონკრეტულ სფეროში არსებულ უახლეს და მნიშვნელოვან საკითხებს. ასეთი ტიპის ლექციათა ციკლი ჩატარდა პირველად , რამაც სტუდენტთა მხრიდან ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა.

პროექტის ფარგლებში მოწვეულნი იყვნენ: ნეიროქირურგი ედიშერ მაღალაშვილი, პლასტიკური ქირურგი გუგა ქაშიბაძე, კარდიოქირურგი ზვიად ბახუტაშვილი და რეპროდუქტოლოგი არსენ გვენეტაძე. უახლოეს მომავალში იგეგმება დავით გაგუას და ალექსანდრე თავართქილაძის საჯარო ლექციები.

❖❖❖

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა ლექციათა ციკლი – ,,sagittas''. პროექტის მიზანია, სტუდენტს დაეხმაროს კონკრეტული სამედიცინო დარგის არჩევაში. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებისთვის თსსუ-ში მოწვეულმა პროფესორებმა: არსენ გვენეტაძემ, ივა კუზანოვმა, კახა ჭელიძემ, ლევან ხარაშვილმა და ედიშერ მაღალაშვილმა ისაუბრეს თემაზე – ,, ნეტავ ადრე მცოდნოდა'. გამომსვლელები შეეცადნენ, თავიანთი სპეციალობის, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეზე გაემახვილებინათ ყურადღება, რათა მათ მომავალ კოლეგებს საშულება ჰქონდეთ სწორად აირჩიონ კონკრეტული სპეციალობა და ჩამოყალიბდნენ წარმატებულ ექიმებად.

❖❖❖

საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის ეგიდით, გაზაფხულის სემესტრში დაიწყო სტუდენტთა რეგისტრაცია USMLE-ის მოსამზადებელი კურსისთვის. შექმნილ ჯგუფებს ყოველკვირეულად შეხვდებიან თსსუ-ის მაღალკურსელები, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ მათ და მისცემენ მიმართულებას ამა თუ იმ საგნის მომზადებისთვის.

კურსი მოიცავს ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის კლასებს, რომლის დასრულების შემდეგ პროექტი გაგრძელდება ბაზისური და სისტემური საგნებით.

პროექტების ავტორები – თსსუ-ის სტუდენტები: გიორგი ჩილინგარიშვილი, ელენე გუნია, ნინო გოჩელაშვილი, ლაშა მიქაძე, ნიკოლოზ ამაზაშვილი (საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია).

14 აპრილი – დედაენის დღე

14 აპრილს საქართველოში ქართული ენის დღე აღინიშნა, დღე, რომელიც 1978 წლის 14 აპრილის ცნობილი მოვლენების უკვდავსაყოფად დაწესდა.მაშინ, თბილისში, ქართული ენის დასაცავად, რუსთაველის მოედანზე, მთავრობის სასახლესთან, უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი – სტუდენტებმა, ინტელიგენციამ, მოსწავლეებმა...

მრავალათასიანმა საპროტესტო გამოსვლამ ხელისუფლება აიძულა, უარი ეთქვა საკონსტიტუციო ცვლილებაზე, რომელიც ქართულ ენას სტატუსს უკარგავდა. ეს იყო ერთადერთი უსისხლო აქცია, რომელმაც გამარჯვება მოიტანა.

მას შემდეგ 40 წელი გავიდა. 14 აპრილს, საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობამ, უმაღლესი სასწავლებლების ათასობით მონაწილესთან ერთად, ქალაქში დაგეგმილ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებმა ქართული ენის დღე განსაკუთრებულად აღნიშნეს. საკუთარი ხელით ქართულ ენაზე დამზადებული ნამუშევრებით გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა გამოხატეს საქართველოს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიმართ: „მადრი მქვია, ინდოეთიდან ვარ, ლამაზი ქვეყანაა საქართველო. ბედნიერი ვარ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი რომ ვარ და ქართულ ენას ვსწავლობ“, „ვარ ბანგლადეშიდან, ქართული უნიკალური ენაა, მიხარია საქართველოში ყოფნა, სადაც ბევრი მეგობარი შევიძინე“, ჩემი პირველი ფრაზა იყო – მადლობა“; „იაში მქვია, ინდოეთიდან ჩამოვედი სასწავლებლად, სამედიცინო უნივერსიტეტში გულითადი ადამიანები დამხვდნენ და საუკეთესო პირობები – ცოდნის შესაძენად. ლამაზია თქვენი ქვეყანა, განსაკუთრებით – ბათუმი და გუდაური მომწონს“.

გილოცავთ ქართული ენის დღეს! – მათი ერთსულოვანი მილოცვა მადლიერებას და სიყვარულს გამოხატავდა საქართველოსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიმართ, სადაც ისინი ქართული ენის კურსს გადიან.

მანანა ფხალაძე



ექიმები საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტში

პარლამენტარიზმის ისტორია საქართველოში ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და სხვადასხვა ეტაპზე საინტერესო სახით და თავისებურებებით ჩნდებოდა, თუმცა კი, რასაკვირველია, მისი სრული რეალიზაციის და განვითარების პირობები ყოველთვის არ იყო. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფორმირების გზაზე (1917-1921 წ.წ.) ამ ფენომენმა კიდევ ახალი და მეტად პროგრესული განზომილებები შეიძინა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის იმ დროის მსოფლიოში ღირებულებითი სისტემის სრულყოფილებით გამოირჩეოდა.

მკითხველს ვთავაზობთ მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის თანამშრომლის, მაგისტრანტ ლევან ჯოჯუას, სტატიას იმ ექიმების შესახებ, რომელნიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტში მოღვაწეობდნენ და ნათელი კვალი დატოვეს არა მარტო პარლამენტის, არამედ ქვეყნის ისტორიაში.

აკადემიკოსი რამაზ შენგელია

სამედიცინო სფეროს წარმომადგენელ ქართველებს თუ არაქართველებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, კერძოდ, დიდი და მნიშვნელოვანია მათი მოღვაწეობა 1918-1921 წლების საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტში.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ყველა კანონიერი წინაპირობის გათვალისწინებით, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს გახლდათ უდიდესი მნიშვნელობის აქტი, რომლის შედეგადაც ქვეყანა განთავისუფლდა რუსეთის საუკუნოვანი ბატონობისგან და ახალი ეტაპი უნდა დაწყებულიყო ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. ეროვნული საბჭო შეუდგა დროებითი საკანონმდებლო ფუნქციის შესრულებას და, ამავდროულად, - მზადებას საყოველთაო არჩევნებისთვის. 1918 წლის შემოდგომიდან, საბჭო „საქართველოს პარლამენტად“ გადაიქცა. გადაწყდა, რომ 1919 წლის თებერვალში ჩატარებულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების - არჩევნები. კრების წევრებად მოქალაქეებს 130 დეპუტატი უნდა აერჩიათ. დამფუძნებელი კრების მთავარი ამოცანა რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება უნდა ყოფილიყო.

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი საზეიმო სხდომა 1919 წლის 12 მარტს თბილისში, დამფუძნებელი კრების სასახლის თეთრ დარბაზში გაიმართა.

ახლად არჩეულ საკანონმდებლო ორგანოში, პროფესიული თვალსაზრისით, იურისტები (33 დეპუტატი) და პედაგოგები (24 დეპუტატი) ლიდერობდნენ, თუმცა, სხვადასხვა პროფესიის წარმომდგენლებთან ერთად, დამფუძნებელ კრებაში ექვსი ექიმიც შევიდა. შევეცდებით მცირე ბიოგრაფიული მონაცემები წარმოგიდგინოთ მათ შესახებ.

ივანე გომართელი დაიბადა 1876 წელს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ გორისაში (საჩხერე), საშუალო შეძლების აზნაურის ოჯახში; სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, შემდეგ - თბილისის მეორე გიმნაზიაში, რომელიც 1894 წელს ოქროს მედლით დაამთავრა. უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტში. აქტიურად მონაწილეობდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს საქმიანობაში. სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა საექიმო პრაქტიკას: მუშაობდა ახალქალაქის მაზრაში, შემდგომ კი - ქუთაისში, საჩხერეში. განსაკუთრებული საექიმო ნიჭისა და კომუნიკაციის უნარის გამო, იგი ძალზე პოპულარული ექიმი გახდა.

1901 წლიდან ი. გომართელი აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, სამეცნიერო-პოპულარულ სტატიებს ისტორიის, ლიტერატურის და მედიცინის საკითხებზე. მისმა შრომებმა დიდი როლი შეასრულა მეცნიერული მედიცინის პოპულარიზაციის საქმეში; 1906 წელს აირჩიეს რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად. იგი, პოლიტიკური საბაბით, 1906,1908 და 1910-1911 წლებში დააპატიმრეს.

1907 წლამდე ცხოვრობდა ქუთაისში, შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნით, დატოვა ქალაქი და გადავიდა თბილისში, სადაც აგრძელებდა საექიმო პრაქტიკას. 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს ნევრად; 1918 წელს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი; 1919 წელს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. იყო სარედაქციო, ხელოვნების და სახალხო ჯანმრთელობის კომისიების თავმჯდომარე, სარეკომენდაციო და საპროპაგანდო კომისიების წევრი.

1921 წლიდან ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას. მისი სახელი, როგორც მკურნალისა, ლეგენდად იქცა - უანგარობა ავადმყოფების მიმართ, საექიმო მორალის დახვეწილობა, მაღალი მოქალაქეობრივი იდეალები ფართოდ იყო ცნობილი თანამედროვეთა შორის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს 1928-36 წლებში ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები და დიდი ნიჭით, ერუდიციით და ტაქტით შექმნილი სქელტანიანი ნაშრომი - „გლეხის კარაბადინი“, რომელიც სამედიცინო-პოპულარული ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებად შეიძლება მივიჩნიოთ. ი. გომართელი 1934-35 წლებში აქვეყნებდა სტატიებს მედიცინის იმ დროისთვის უაღრესად საჭირო საკითხებზე და მწვავე გადამდებ სნეულებებზე. 1935 წელს გამოსცა წიგნი - „ბავშვის ნაწლავების მუქთახორები“, 1937 წელს კი I ტომად აქვეყნებს წიგნს - „საუბარი ჯანმრთელობის საკითხებზე“. ი. გომართელი მოულოდნელად გარდაიცვალა 1938 წელს, თბილისში; არსებობს ვერსია, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მინადორა ტოროშელიძე - დაიბადა 1879 წელს ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის სოფელ ღორეშაში. დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია. ჩაერთო მარქსისტული წრეების მუშაობაში. 1901 წელს სწავლა განაგრძო ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტეზე. აქტიურად საქმიანობდა ჟენევის სოციალისტურ წრეებში; პლეხანოვის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა მარქსიზმის თეორიას. ჟენევაში დაქორწინდა მალაქია ტოროშელიძეზე. თბილისში დაბრუნებული ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში: ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილების დაწყების შემდეგ, იყო აქტიური „მენშევიკი“, მეუღლე - მალაქია ტოროშელიძე კი -„ბოლშევიკი“. 1906 წელს პარტიულ სამუშაოზე გაგზავნეს ქალაქ ბაქოში. 1906 წელს ჟენევაში დაასრულა სასწავლო კურსი. 1917 წლიდან იყო ტფილისის ქალთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს. 1918 წელს გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1918 წლიდან არჩეული იყო საქართველოს ნითელი ჯვრის გამგეობის წევრად. 1919 წლიდან იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში წითელი არმიის შემოსვლისას, მინადორა ტოროშელიძე მუშაობდა ფრონტზე, საქართველოს წითელ ჯვარში. ქვეყნის ოკუპირების შემდეგ, ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში; მუშაობდა ეგრეთ წოდებულ „არა“-ში (ამერიკული დახმარების ადმინისტრაცია), პარალელურად, შედიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქალთა კომიტეტში, რომელიც არალეგალურად მუშაობდა პოლიტიკური პატიმრების და მათი ოჯახების დასახმარებლად. 1922 წლიდან კომიტეტი გარდაიქმნა „საქართველოს პოლიტიკური წითელი ჯვრის“ ორგანიზაციად, რომლის ხელმძღვანელადაც მოგვიანებით აირჩიეს.

1936 წელს საქართველოს სსრ შინსახკომმა დააპატიმრა მისი მეუღლე - მალაქია ტოროშელიძე, თვით მინადორა ტოროშელიძე და მათი უფროსი ვაჟი - გიორგი. მინადორა ტოროშელიძეს ბრალად დასდეს ანტისაბჭოთა საუბრების წარმოება.

სსრკ შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა მინადორა ტოროშელიძეს ყაზახეთის სსრ-ში 5 წლით გადასახლება მიუსაჯა; მუშაობდა ქალაქ ჩიმკენტის პოლიკლინიკაში, სადაც მალევე დაუპატიმრეს. მეუღლეს – მალაქია ტოროშელიძეს კი, საქართველოს სსრ უზენაესმა სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა. მალევე დააპატიმრეს მათი უმცროსი ვაჟი ლევან ტოროშელიძეც.

ყაზახეთის სსრ შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა, 1937 წელს, მინადორა ტოროშელიძეს 8 წლით შრომა-გასწორების კოლონიაში პატიმრობა მიუსაჯა. იგი 1937 წლიდან ექიმად მუშაობდა ტაიშეთის და ყარაგანდის შრომა-გასწორების ბანაკში. მას, 1945 წელს, სასჯელი ვადის გასრულების შემდეგაც, არ მისცეს სამშობლოში დაბრუნების უფლება. თბილისში დაბრუნდა მხოლოდ 1950 წელს, რეაბილიტირებულ იქნა 1956 წელს; გარდაიცვალა 1967 წელს თბილისში.

ვარლამ შერვაშიძე - დაიბადა 1888 წელს სოხუმის ოკრუგის სოფელ ბედიაში, თავადის ოჯახში, ეროვნებით - აფხაზი; დაამთავრა სოხუმის რეალური სასწავლებელი. უმაღლესი განათლება მიიღო ხარკოვის უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე. 1910-14 წლებში ირიცხებოდა სტუდენტთა მარქსისტულ ორგანიზაციაში. მეფის რეჟიმის დროს, პოლიტიკური მიზეზით, ოთხჯერ იყო დაპატიმრებული.

პირველი მსოფლიო ომის დროს მობილიზებული იყო ქირურგად სამხრეთ კავკასიის ოსმალეთის ფრონტზე. 1916 წლიდან მუშაობდა სოხუმის სამხედრო ჰოსპიტალში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, იყო აფხაზეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი; ირიცხებოდა საქართველოს რესპუბლიკის არმიის სამხედრო ექიმად; მუშაობდა ქალაქ სოხუმის სამხედრო ჰოსპიტლის უფროს ექიმად და ქალაქის საავადმყოფოს მთავარ ქირურგად.

1919 წელს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. იყო სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი. 1921 წელს ემიგრაციაში წასვლაზე უარი განაცხადა და მუშაობდა ბათუმის საავადმყოფოს ექიმად. 1921 წელს ვარლამ შერვაშიძე ბათუმის საოლქო საგანგებო კომისიამ („ჩეკა“) დაუპატიმრა და სოხუმში გადაგზავნა; აგრძელებდა მუშაობას სოხუმის და ოჩამჩირის საავადმყოფოებში, იყო აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე. 1923 წელს ისევ დააპატიმრეს წინააღმდეგობის მოძრაობის ნარმომადგენლებთან კავშირისა და ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით. პატიმრობიდან გაათავისუფლეს ნესტორ ლაკობას მოთხოვნით, რომლის განმარტებით, ვარლამ შერვაშიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აფხაზეთში და მისი პატიმრობა არ იყო სასარგებლო ბოლშევიკური ხელისუფლებისთვის.

გათავისუფლების შემდეგ ცხოვრობდა და მუშაობდა სოხუმში; გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავარი ქირურგი; აღზარდა ქირურგთა არაერთი თაობა. 1951 წელს იყო აფხაზეთის ასსრ სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

1953 წელს იგი კვლავ დააპატიმრეს საბჭოთა უშიშროების ორგანოების მიერ ხელოვნურად შეთხზული „ექიმების საქმის“ კამპანიის დროს და რამდენიმე თვით მოათავსეს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შიდა ციხეში. ძიება ფიზიკური ზეწოლით ცდილობდა მისგან აღიარებითი ჩვენების მოპოვებას. ვარლამ შერვაშიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1953 წლის აპრილში, სტალინის გარდაცვალების და „ექიმთა საქმის“ დახურვის შემდეგ; დაუბრუნეს ჩამორთმეული ქონება და მისცეს საშუალება, ეცხოვრა სოხუმში. ჯანმრთელობაშერყეული ვარლამ შერვაშიძე ინფარქტის დიაგნოზით გარდაიცვალა 1957 წელს. დაკრძალულია სოხუმში.

ყადირ შერვაშიძე - დაიბადა 1987 წელს ბათუმის ოლქის სოფელ ქედაში, ბეგის ოჯახში; ეროვნებით - ქართველი, აღმსარებლობით - მუსლიმი.

1899 წლიდან სწავლობდა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში; სწავლის პერიოდში მონაწილეობდა გიმნაზიის პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ მოძრაობაში, რის გამოც, სხვებთან ერთად დააპატიმრეს და „მგლის ბილეთით“ (სხვა სასწავლებელში შესვლის უფლების აკრძალვა) გარიცხეს. ამის მიუხედავად, სწავლა განაგრძო ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც დაასრულა 1909 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა დორპატის (იურიევის, ტარტუს) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, იყო ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წევრი, მონაწილეობდა სტუდენტთა მოძრაობაში, რის გამოც 1910 წელს დააპატიმრეს და სახელმწიფო სტიპენდია გაუუქმეს. 1914 წელს ტალინში დაქორწინდა ნადეჟდა ბახტაძეზე. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როგორც სამხედრო ექიმი, გაიწვიეს სამხრეთის ფრონტზე; მიაღწია პოდპოლკოვნიკის წოდებას; 1916 წლიდან მუშაობდა „ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა დახმარების სრულიად რუსეთის ერობათა კავშირის“ რწმუნებულად ბათუმში. 1917 წელს გახდა ბათუმში დაარსებულ „ქართველ მუსლიმთა კომიტეტის“ წევრი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაინიშნა ამიერკავკასიის ერობათა რწმუნებულად ბათუმის ოლქში. 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წელს დატოვა აჭარა და ტფილისში „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებული ახალციხეში, ზემო აჭარასა და ფოცხოვის მხარეში. ჩამოაყალიბა ქართველ მუსლიმთა ცხენოსანი დივიზია, რომელსაც თავადვე სარდლობდა; იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პოლკოვნიკი. მონაწილეობდა სამცხე-ჯავახეთში ოსმალთა არმიისა და მათი მხარდამჭერი ადგილობრივი მოხალისეების წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში. პარალელურად, იყო სამედიცინო და სანიტარიული ინფრასტრუქტურის მონყობის ხელმძღვანელი. დაჯილდოვდა ქართული ლეგიონის თამარ მეფის ორდენით. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. მოულოდნელად გარდაიცვალა 1919 წლის 8 მაისს, თბილისში. ოფიციალური ვერსიით, - პარტახტიანი ტიფით, თუმცა, არსებობდა ეჭვი, რომ მონამლეს პროოსმალურად განწყობილი ძალების დაკვეთით. ყადირ შერვაშიძის ნეშტი პატივით გადაასვენეს ბათუმში, სადაც ბრიტანულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ საზოგადოებას მისი აზიზიეს მოედანზე დაკრძალვის საშუალება არ მისცა. დაკრძალეს მშობლიურ სოფელ ქედაში.

კონსტანტინე გვარჯალაძე - დაიბადა 1883 წელს ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ ლანჩხუთში, გლეხის ოჯახში. იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, მუშაობდა „მენშევიკების“ ფრაქციაში. ბათუმში მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში.

უმაღლესი განათლება მიიღო შვეიცარიაში, ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა მედიცინასა და ფილოსოფიას. 1908 წლიდან აქვეყნებდა ნაშრომებს პოლიტიკურ, საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიურ საკითხებზე;

1917-18 წლებში თავმჯდომარეობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ტფილისის ორგანიზაციას, იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს. 1918 წელს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. გახდა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი (მოადგილე). მთავრობის დავალებით მონაწილეობდა მოლაპარაკებებში - „მეომარ და ნეიტრალურ“ სახელმწიფოებთან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. 1919 წელს აირჩიეს დამფუძნებელ კრების წარმომადგენლად. 1921 წელს დატოვა საქართველო და მუშაობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სტამბოლის ორგანიზაციაში. საქართველოს ოკუპაციის საკითხის გარშემო საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მობილიზების მიზნით, მონაწილეობდა დიპლომატიურ აქციებში. 1925-1929 წლებში ცხოვრობდა ლონდონში. 1929 წლიდან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელი სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში; 1935-40 წლებში იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ორგანოს -„ბრძოლის ხმის“ მთავარი რედაქტორი. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1969 წელს პარიზთან ახლოს, აბონდანის მოხუცთა თავშესაფარში; დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

იოანის ფაშალიდისი - დაიბადა 1885 წელს ოსმალეთში, სოფელ სანტა-პონტოსში (თანამედროვე - დუმანლი, გუმუსაჯიქიო, თურქეთი) გლეხის ოჯახში; ეროვნებით - ბერძენი. 1896 წლიდან სწავლობდა ტფილისის რუსულ გიმნაზიაში, შემდეგ - ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, საიდანაც გარიცხეს; 1909 წელს ცხოვრობდა და სწავლობდა ბერლინში. 1910 წელს დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, ქირურგის პროფესიით. 1910-იანი წლებიდან, ოჯახთან ერთად, გადასახლდა სოხუმში, სადაც მუშაობდა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში და ეწეოდა საექიმო პრაქტიკას; როგორც ექიმი, ცნობილი და პოპულარული იყო დასავლეთ საქართველოში.

1919 წელს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირების შემდეგ, ემიგრაციაში წავიდა სტამბოლში, შემდეგ ბერლინში განაგრძობდა სამედიცინო ცოდნის მიღებას. 1922 წელს, სოციალისტური პარტიების პანევროპულ კონფერენციაზე, მწვავედ გააკრიტიკა რა საბჭოთა რუსეთის ქმედებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, დელეგატებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მხარდაჭერისკენ მოუწოდა;1923 წლიდან თესალონიკის „რუსულ ჰოსპიტალში“დაიწყო მუშაობა. მალე პროფესიონალიზმისა და ავადმყოფებისთვის უანგაროდ დახმარების გამო, ი. ფაშალიდისის სახელი იმ მხარეში ცნობილი გახდა და „ღარიბთა ექიმი“ შეარქვეს. დაარსა „კავკასიელთა კავშირი“. ი. ფაშალიდისი საბერძნეთის სოციალისტური პარტიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელების მიერ საბერძნეთის ოკუპაციის შემდეგ, დააპატიმრეს, მისი მოკვლაც სცადეს, თუმცა, ტერორისტულ შეტევას გადაურჩა და განაგრძო პოლიტიკური საქმიანობა; 1964 წლამდე იყო საბერძნეთის პარლამენტის წევრი. იოანის ფაშალიდისი გარდაიცვალა 1968 წელს, დაკრძალულია თესალონიკში.

9 აპრილის ტრაგედიიდან 30 წელი გავიდა

9 აპრილის მოვლენებიდან 30 წელი გავიდა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა დაარბიეს, რასაც მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლე ემსხვერპლა. ეს თარიღი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა რამდენიმე ღონისძიებით აღნიშნა.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სტუდენტები ეწვივნენ მედიცინის ისტორიის მუზეუმს, სადაც 9 აპრილისადმი მიძღვნილი შეხვედრა მოეწყო. ღონისძიებას უძღვებოდა თსსუ-ის მედიცინის ისტორიის და ბიოეთიკის დეპარტამენტის პროფესორი, აკადემიკოსი რამაზ შენგელია. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: 1989 წლის ტრაგედიის დროს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი – ირაკლი მენაღარიშვილი, ამავე პერიოდში თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე ავთანდილ ჯორბენაძე, „საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს" თავმჯდომარე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ევროპელთა სათანადოდ ინფორმირებას – ოთარ ზურაბიშვილი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მაშინდელი პოლიტიკური მდივანი მამუკა გიორგაძე, თსსუ-ის ვიცე-რექტორები: პროფესორი რიმა ბერიაშვილი და ასოცირებული პროფესორი ირაკლი კოხრეიძე და სხვა საპატიო სტუმრები.

შეხვედრაზე გაიხსენეს 9 აპრილის მოვლენები. ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა ისაუბრა მომხდარ ტრაგედიაზე და აღნიშნა, რომ ექიმები პირნათლად ასრულებდნენ თავის მოვალეობას, იდგნენ იქ, სადაც უნდა მდგარიყვნენ და ყველა ღონეს ხმარობდნენ ათასობით მოწამლულისა და დაზარალებულის გადასარჩენად. ასევე, აუდიტორიას მიმართეს ბატონმა ოთარ ზურაბიშვილმა და ბატონმა მამუკა გიორგაძემ.

სტუმრებმა დაათვალიერეს მედიცინის ისტორიის მუზეუმი, სადაც ერთი პროფესიის ფარგლებში წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის თითქმის სრული სპექტრი. მათ მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ექსპოზიციას.

ამავე დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები: ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი ირაკლი კოხრეიძე, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ დიაკონიძე, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ანა კაკაბაძე და სხვები ეწვივნენ 9 აპრილის მემორიალს და ყვავილებით შეამკეს ის.

თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი კოხრეიძემ აღნიშნა, რომ ეს დღე საკრალურია ყველა ქართველისთვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ქედს იხრის იმ გმირების წინაშე, რომლებმაც 30 წლის წინ საკუთარი სიცოცხლე მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე და შეეწირნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის უთანასწორო ბრძოლას.

9 აპრილის მემორიალთან არაერთი მადლიერებით სავსე სიტყვა ითქვა გმირების მისამართით. „ჩვენ არასდროს დავივიწყებთ მათ ღვაწლს და ვეცდებით ისეთივე თავდადებით ვიდგეთ ჩვენი ერის გვერდით, როგორც ამას 1989 წლის გმირები აკეთებდნენ", – განაცხადა თსსუ-ის თვითმმართველობის პრეზიდენტმა ანა კაკაბაძემ.

ლელა მუკბანიანი

ამერიკული ბენდის კონცერტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

ამერიკელმა მუსიკოსმა პირველი კონცერტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამართა

მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში თსსუ-ის სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლის წარმატებული კონცერტების შემდეგ კულტურული ურთიერთობები ორ ხალხს შორის გრძელდება, რისი დასტურიცაა 15 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამართული ამერიკელი მუსიკოსის და კომპოზიტორის, ტონი მემელის, კონცერტი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოწვევით, პროექტის – „ამერიკული მუსიკა საზღვარგარეთ" – ფარგლებში ესტუმრა საქართველოს და რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ პირველი კონცერტი სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამართა.

აღსანიშნავია, რომ ტონი მემელი, გარდა იმისა, რომ პროფესიონალი მუსიკოსია, კლინიცისტიც გახლავთ. სამკაციანი ბენდის გიტარისტმა ამ კონცერტითაც დაადასტურა, რომ რთულია მასზე ითქვას „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მუსიკოსი" (ტონის დაბადებიდან არ აქვს ზედა მარცხენა კიდური). ის, თავისი აქტიური საქმიანობით, შრომისმოყვარეობის და მხნეობის მაგალითია ყველასთვის.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, რომელმაც აღნიშნა: „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელით მინდა მადლიერება გამოვხატო დღევანდელი კონცერტის გამო. ამ დარბაზს ბევრი საინტერესო ღონისძიება ახსოვს და, მათ შორის, დღევანდელი კონცერტი გამორჩეულია თავისი მნიშვნელობით – ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ, ამერიკელი მუსიკოსების კონცერტის ჩასატარებლად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აირჩია. აღსანიშნავია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა არა მხოლოდ კულტურის, არამედ მედიცინის სფეროში. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს უნივერსიტეტში მოქმედებს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის პროგრამა ჩვენს ამერიკელ კოლეგებთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს რეაბილიტაციური მედიცინის განვითარებას საქართველოში; ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს ატლანტასთან. სწორედ ორი ჯორჯიის ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბდა და მოქმედებს თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა. სულ ახლახან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სიმღერის და ცეკვის ანსამბლი იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ატლანტაში წარმატებული კონცერტებით აღაფრთოვანა მაყურებელი. ეს იყო არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, არამედ ქართული კულტურის წარმატება ამერიკაში... ურთიერთობები გრძელდება, რისი დასტური დღევანდელი კონცერტიც გახლავთ".

აშშ-ის ელჩის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ჯეფრი რენო

თსსუ-ის აკადემიურ და ადმინიტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებთან ერთად კონცერტს ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ჯეფრი რენო, რომელმაც მიმართა შეკრებილ საზოგადოებას: „ჩემთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ ამერიკული ბენდი და მისი სოლისტი, საინტერესო და ნიჭიერი მუსიკოსი ტონი მემელი; მინდა მადლიერება გამოვხატო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისადმი, რომელიც მასპინძლობს ამ კონცერტს და მახარებს, რომ კონცერტს ამდენი სტუდენტი ესწრება."

„ემოციური და შთამბეჭდავი", – ასე შეიძლება შეფასდეს კონცერტი, რომელზეც ნიჭიერმა მუსიკოსმა, ბენდთან ერთად, საინტერესო რეპერტუარი წარმოგვიდგინა და მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ნატო ბოლქვაძე

„სამედიცინო გაზეთის" რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64

რედაქტორი
ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspaper@tsmu.edu